



# ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

### დაბა ქედა



განკარგულება:გ-95.95213631

თარიღი:29/12/2021

### **ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით თხოვნების უფლებით შპს „ქედის ავტოსატრანსპორტო საწარმო“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვნების უფლებით 5 (ხუთი) წლის ვადით შ.პ.ს. „ავტოსატრანსპორტო საწარმო“-ს (ს/კ 2467544150) გადასცეს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1 (ერთი) ერთეული მოძრავი ქონება, კერძოდ შემდეგი ავტომობილი: ნივა - მარკა-VAZ, მოდელი - 212140, სატრ. საშ. სარეგისტრაციო ნომერი: XTA212140N243209, სახელმწიფო ნომერი: VL241VL.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

